პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და კავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 151 (1321) ○ ხუთშაბათი, 18 დეკემბერი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი ○ ფასი 30 კაპ.

14:21

შესანიშნავი შედეგია





ხარკოვი, XX ჩემპიონატი

ხ ა რ კ ო ვ ი. (ჩვენი სპეც. კორ.). XVI ტურში საერთო ყურადღებას იპყრობდა ვოლპერტ-გაფრინდაშვილის პარტია. გრიუნფელდის დაცვაში, რომელიც გაფრინდაშვილმა გამოიყენა, ვოლპერტმა თამაში ააგო ბაქოელი ოსტატის მაკაგონოვის გეგმით. მაგრამ შემდგომში, როცა პოზიცია ოდნავ გამარტივდა, ვოლპერტმა გაფრინდაშვილს ყაიმი შესთავაზა. მცირე მოფიქრების შემდეგ გაფრინდაშვილმა ეს წინადადება მიიღო. ეს მოხდა მე-18 სვლაზე. მხოლოდ ოთხი სვლით მეტი გაკეთდა ზვორიკინა-ბორისენკოს პარტიაში, რომელიც აგრეთვე ყაიმით დამთავრდა. ყაიმი ფიქსირებულ იქნა ტოგონიძე-ჩაიკოვსკაიას პარტიაშიც. როოტარემ დაამარცხა გოიჰენბერგი, ხოლო ზატულოვსკაიამ — ნისენბოიმი. სხვა პარტიები არ დამთავრებულა.

XVII ტურში ბრწყინვალედ ითამაშა გაფრინდაშვილმა. გურფინკელთან ესპანურ პარტიაში მან ორი პაიკი მოიგო, შემდეგ შეძლო მხედრის მოგებაც და საერთაშორისო ოსტატმა ფარ-ხმალი დაყარა. ძლიერად ითამაშა აგრეთვე ჩაიკოვსკაიამ, რომელმაც შექმნა გამსვლელი პაიკი და დაამარცხა როოტარე. შემტევი პოზიცია მიიღო გოიჰენბერგმა ბორისენკოს წინააღმდეგ, მაგრამ მან არა თუ ვერ გამოიყენა თავისი დიდი უპირატესობა, არამედ თვითონ შეუწყო ხელი მოწინააღმდეგეს საკუთარი მეფის დაშამათებაში. ტოგონიძემ ცუდად გაითამაშა დებიუტი კუშნირის წინააღმდეგ, რის გამოც წააგო ჯერ ფიგურა და შემდეგ პარტია. ტურნირში პირველი გამარჯვება მოიპოვა სტრანდსტრემმა, რომელმაც დაამარცხა ფილანოვსკაია.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

XVII ტურის შემდეგ წინ არიან ლ. ვოლპერტი, რომელსაც 11 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, ნ. გაფრინდაშვილი — 11 ქულა, კ. ზვორიკინა—10,5 ქულა. და ორი გადადებული პარტია, ტ. ზატულოვსკაია — 10 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

საბჭოთა და შვედი მოჭიდავეების შეხვედრას სპეციალისტები მუდამ პირველი მნიშვნელობის მოვლენად თვლიდნენ, რადგან აქ ერთმანეთს უბრალოდ ძლიერი მოწინააღმდეგენი კი არ ხვდებოდნენ, არამედ ორი სხვადასხვა სკოლა, სტილი, ჩვევა. ასე იყო ყოველთვის, ასე იყო ამას წინათაც — შვეციის ეროვნული ნაკრები გუნდის ტურნეს დროს. მკითხველმა კარგად იცის, რომ ჩვენმა სტუმრებმა საბჭოთა კავშირში ორი შეხვედრა ჩაატარეს, სანამ საქართველოს ნაკრებს შეხვდებოდნენ. პირველ მატჩში საბჭოთა კავშირის ნაკრებთან შვედებმა წააგეს ხუთი შეხვედრა (ყველა ქულებით), ხოლო გ. ფრეიმ, ჰ. ანტონსონმა და რ. სვენსონმა ბრძოლები ფრედ დაამთავრეს. მეორე შეხვედრა სტუმრებს უკრაინელებთან ჰქონდათ. მასპინძლებმა 6 ბრძოლა მოიგეს (აქაც ყველა ქულებით) მხოლოდ ორი შეხვედრა ფრეისთან და სვენსონთან დაამთავრეს ფრედ. ჯერი საქართველოს ნაკრებ გუნდზე მიდგა.

ვიდრე შეხვედრათა მსვლელობაზე ვილაპარაკებთ, რამდენიმე სიტყვით შევეხოთ სტუმრების გუნდს. მას შემდეგ, რაც შვეციის ეროვნულ ნაკრებს გამოაკლდნენ ვეტერანები ანდერბერგი, გრენბერგი, ანტონსონი და სხვანი, შვედები ეპიზოდურად გამოდიოდნენ საერთაშორისო შეხვედრებში. გუნდი რეორგანიზაციის გზაზე იდგა, ყალიბდებოდა უმთავრესად პერსპექტული თვალსაზრისით, პირველ რიგში — ოლიმპიური თამაშებისათვის. პრესაში უკვე არა ერთხელ აღნიშნეს, რომ შვედები ნაკლებად აგრესიული სტილის მოჭიდავენი არიან, მათი ბრძოლის მანერა აქტიური არაა და ძირითადად მოწინააღმდეგის შეცდომებზეა აგებული. ამაში ჩვენ გუშინწინდელმა მატჩმაც დაგვარწმუნა.

საქართველოს მოჭიდავეები, როგორც ყოველთვის, იბრძოდნენ აგრესიულად, თავგამეტებით, ზოგჯერ აზარტულადაც კი. მოწინააღმდეგის გაბრუება ტემპით, ილეთების დაუსრულებელი ცვლა და „პოზიციის გართულების“ სურვილი—აი, რით გასტეხეს საქართველოს მოჭიდავეებმა სტუმრების წინააღმდეგობა. შესვენების დროს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა სტრემბეკ პერ ტორსტენმა გაკვირვებით განაცხადა: საქართველოში რომ ძლიერ გუნდთან მოგვიხდებოდა ბრძოლა, ეს ადრევეც ვიცოდით, მაგრამ თუ ასეთი უპირატესობა ექნებოდათ თქვენს მოჭიდავეებს, ვერაფრით ვერ ვიფიქრებდითო. მისი აზრით, შვეციის გუნდს არსად არ გასჭირვებია ისე, როგორც თბილისში.

საქართველოს ნაკრებმა ეს შეხვედრა ბრწყინვალედ მოიგო. ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ღუდუშაურისა და კ. იუმანსენის შეხვედრა. მარჯვნივ: გ. სინაურიძე (ზევიდან) ჭიდაობს ჰ. ანტონსონთან.

(გაგრძელება იხ. მე-3 გვ.)

ძალოსნები ფიცარნაგზე

სსრ კავშირის პირველობა სიმძიმეთა აწევაში

გ ო რ კ ი. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს სსრ კავშირის პირველობა სიმძიმეთა აწევაში, სადაც მონაწილეობენ სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა ნაკრები გუნდები, რომელთა შემადგენლობაში არიან მსოფლიოს, ევროპის ოლიმპიური თამაშებისა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონები და რეკორდსმენები. პირველად ფიცარნაგზე გამოვიდნენ მჩატე წონის ძალოსნები. აქ კონკურენციის გარეშე იყო მსოფლიოს ჩემპიონი ვ. სტოგოვი (საბჭოთა არმია), რომლის შედეგია—325 კგ. ქვემსუბუქ წონაში მოსალოდნელი იყო, რომ პირველი ადგილისათვის ბრძოლა გაიმართებოდა 1957 წლის მსოფლიო ჩემპიონ ე. მინაევსა (საბჭოთა არმია) და მსოფლიო რეკორდსმენ დინამოელ ვ. კორეს შორის. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ვ. კორემ ერთ-ერთ მოძრაობაში მოულოდნელად ვერ მიიღო შეფასება და ამის შემდეგ ზედმეტი იყო გამარჯვებაზე ფიქრი. მაგრამ ე. მინაევს გამოუჩნდა მეტად ძლიერი მეტოქე ლენინგრადელ მ. მედვედევის („ტრუდი“) სახით.

პირველობის ბედი უნდა გამოერკვია აკრას. აქ ე. მინაევმა უკეთესი შედეგი აჩვენა—132.5 კგ, სამჭიდის ჯამში დააგროვა 450 კგ და 5 კილოგრამით გაუსწრო უახლოეს მეტოქეს. მესამე ადგილზე გამოვიდა საქართველოს „კოლმეურნის“ წარმომადგენელი ა. გრიგორიანი — 322,5.

მსუბუქ წონაში მაყურებელთა სიმპათია გორკელი სპორტსმენის, მსოფლიოს ჩემპიონისა და რეკორდსმენის ვ. ბუშუევის მხარეზე იყო, მაგრამ უძლიერეს ძალოსანს არა მარტო სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ხარკოველმა მ. იაღლი-ოღლიმ, არამედ მოიპოვა პირველი ადგილიც.

შეჯიბრებაზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა საშუალო წონის ძალოსანმა რ. ჭლიუკფელდერმა ატაცში. მისი შედეგია 138,5 კგ.

მდგომარეობა XVII ტურის შემდეგ

	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21
ლ. ვოლპერტი	1		½	0	½	1	½	0	1	½	½	½	0	1	•	•	•				
ნ. გაფრინდაშვილი	2	½		0	0	½	½	½	1	0	½	½	½	•	½	½	0				1
ნ. როოტარე	3	1	1		½	0	0	½	½	½	1	0	½	½	1	0				½	½
ვ. ბორისენკო	4	½	1	½		½	0	1	0	1	1	•	½	½	1				½	0	½
ვ. ზვორიკინა	5	0	½	1	½		1	½	½	½	1	•	•	•				0	0	½	0
ტ. ზატულოვსკაია	6	½	½	1	1	0		1	1	½	1	1	•				0	½	1	½	½
ე. მალინოვა	7	1	½	½	0	½	0		0	0	•	•				½	½	0	½	½	1
ტ. ზატულოვსკაია	8	0	0	½	1	½	0	1		•	0				½	½	½	0	0	½	0	1
ლ. ივანოვი	9	½	1	½	0	½	½	1	•					1	½	½	0	0	½	½	0
ფ. ფალანოვსკაია	10	½	½	0	0	0	0	•	1				0	½	0	½	0	0	½	0	½
ლ. ნისენბოიმი	11	½	½	1	•	•	0	•				1	½	1	1	0	0	1	½	0	½
ი. რუბცოვა	12	½	½	½	½	•	•				0		½	0	1	½	1	½	0	½	1
ჰ. ზეიფერტი	13	1	•	½	½	•				1	½	½		1	1	½	½	1	1	1	½
ბ. ფილანოვსკაია	14	0	½	0	0				0	½	0	1	0		0	0	½	0	1	½	0
ა. ზაბლოცკაია	15	•	½	1				½	½	1	0	0	0	1		½	1	0	½	0	1
ა. კუშნირი	16	•	1				½	½	½	½	1	½	½	1	½		½	½	1	0	0
ე. ბიკოვა	17	•	•			1	½	1	1	1	1	0	½	½	0	½		1	0	0	•
ნ. ბოგოლიუბოვა	18				1	½	1	1	1	1	0	½	0	1	1	½	0		1	½	1
ე. ალექსანდრე	19			½	1	0	½	½	½	½	½	1	0	0	½	0	1	0		•	
ლ. ბოლიკარპოვა	20		½	1	½	½	½	1	½	1	1	½	0	½	1	1	1	½	•		
ი. ბელოზერცევი	21		0	½	½	1	½	0	0	1	½	½	0	½	1	0	1	•	0		

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: წერტილებით აღნიშნულია გადადებული პარტიები.

გუშინ შედგა XVIII ტური, რომელშიც ერთმანეთს შეხვდნენ: გურფინკელი-კაკაბაძე, იგნატიევა-გაფრინდაშვილი, ტოგონიძე-ბიკოვა, როოტარე-კუშნირი, ბორისენკო-ჩაიკოვსკაია, ტიხომიროვა-გოიჰენბერგი, ზატულოვსკაია-ზვორიკინა, მალინოვა-რუბცოვა, ფილანოვსკაია-ნისენბოიმი, იაკირი-სტრანდსტრემი. ისვენებდა ვოლპერტი.

18 დეკემბერი. გადადებული პარტიების დამთავრება.

19 დეკემბერი. XIX ტური. ერთმანეთს ხვდებიან: ვოლპერტი-გურფინკელი, კაკაბაძე-იგნატიევა, გაფრინდაშვილი-ტოგონიძე, ბიკოვა-როოტარე, კუშნირი-ბორისენკო, ჩაიკოვსკაია-ტიხომიროვა, გოიჰენბერგი-ზატულოვსკაია, ზვორიკინა-მალინოვა, რუბცოვა-ფილანოვსკაია, ნისენბოიმი-იაკირი. ისვენებს სტრანდსტრემი.

20 დეკემბერი. იგნატიევა-ვოლპერტი, ტოგონიძე-კაკაბაძე, როოტარე-გაფრინდაშვილი, ბიკოვა-ბორისენკო, კუშნირი-ტიხომიროვა, ჩაიკოვსკაია-ზატულოვსკაია, გოიჰენბერგი-მალინოვა, ზვორიკინა-ფილანოვსკაია, რუბცოვა-იაკირი, ნისენბოიმი-სტრანდსტრემი. ისვენებს გურფინკელი.

21 დეკემბერი. გადადებული პარტიების დამთავრება.

22 დეკემბერი. დასვენების დღე.

ᲓᲠᲝ ᲪᲝᲬᲐ ᲓᲐᲠᲩᲐ, ᲒᲐᲡᲐᲙᲔᲗᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲘ ᲒᲔᲕᲠᲘᲐ

ამას წინათ თბილისში გაიმართა რესპუბლიკის ფიზკულტურულ მუშაკთა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოების, ფიზკულტურის საოლქო, საქალაქო, სარაიონო კომიტეტებისა და რაისაბჭოების თავმჯდომარეები.

ძირეული კოლექტივების, საქალაქო, სარაიონო, რესპუბლიკური და საკავშირო სპარტაკიადებისათვის მზადების შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ვ. სიხარულიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს ამ ღონისძიებათა წარმატებით შესასრულებლად და ახალი ამოცანების გადასაწყვეტად, რომელსაც მათ წინაშე აყენებს მომავალი შეჯიბრებები. მთელმა რიგმა საოლქო და რაიონულმა კომიტეტებმა სპორტის ბევრ სახეობაში უკვე დააკომპლექტეს ნაკრები გუნდები, წესრიგში მოიყვანეს სპორტული ბაზები, მუშაობას შეუდგნენ ადგილობრივი და ზონალური სპარტაკიადების საორგანიზაციო კომიტეტები.

მომხსენებელმა თათბირის მონაწილეებს მოაგონა, რომ არც თუ ისე დიდი დროა დარჩენილი ხალხთა სპარტაკიადამდე და ყველა ღონეს უნდა მივმართოთ ჩვენს საქმიანობაში არსებული ხარვეზების დასაძლევად. საქართველოს მინისტრთა საბჭომ ამასწინათ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს, სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკური საბჭოების თავმჯდომარეებს, სამინისტროებს ავალებს გაატარონ გადამჭრელი ღონისძიებანი ძირეულ კოლექტივებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გასაძლიერებლად, ხელი შეუწყონ ნაკრები გუნდების დაკომპლექტებას, ბაზების დროულ რემონტს.

რესპუბლიკური სპარტაკიადების დაწყებამდე დამთავრდება ბაზების მშენებლობა სოხუმში, ბათუმში, სტალინირში, ქუთაისში. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტი ვაჭრობის სამინისტროსთან და „ცეკავშირთან“ ერთად მოკლე ხანში დაამთავრებს რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების მომარაგებას სპორტინვენტარითა და ფორმით.

თათბირზე სიტყვით გამოსულმა რ. ხიკუბამ ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადებიან აფხაზეთის ფიზკულტურული ორგანიზაციები მომავალი სპარტაკიადებისათვის. აღნიშნა, რომ ზოგ რაიონში (გალი, ტყვარჩელი) გვიან ჩაებნენ სპარტაკიადისათვის მზადებაში. აფხაზეთში ჯერ კიდევ სუსტად გამოიყურებიან ნიჩბოსნები — ინვენტარის ნაკლებობის გამო, ხოლო ხუთჯიდელთა გუნდი დაუკომპლექტებელია, რადგან არ ჰყავთ მწვრთნელი-სპეციალისტი, თუმცა ცხენებითა და სხვა ინვენტარით მათ სათანადოდ დაეხმარა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭო.

აფხაზეთში ბევრი რამ გაკეთდა ხალხთა პირველი სპარტაკიადის შემდეგ. მწყობრში ჩადგა სტენდი, ტირი, „სპარტაკის“ მოედნები, მომდინარეობს გაგრისა და ოჩამჩირის სტადიონების, გუდაუთის იპოდრომის რეკონსტრუქცია.

ფიზკულტურისა და სპორტის აჭარის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. მეავანაძემ ილაპარაკა მათ მიერ გატარებულ ღონისძიებებზე, ნაკრები გუნდების დაკომპლექტებისა და მათთვის წვრთნის ნორმალური პირობების შექმნის შესახებ. უკვე რეკონსტრუირებულია „განთიადისა“ და „სპარტაკის“ დარბაზები. ნაკრებ გუნდებზე გაპირობებულია საორგანიზაციო კომიტეტის წევრები და სხვ. აქვე აღინიშნა ისიც, რომ აჭარის ფიზკულტურელებს გაუჭირდებათ რაიმე შევსება მისცენ რესპუბლიკის ნაკრებს ცხენოსნობასა და მოტოსპორტში, რადგან როგორც ერთ, ისე მეორე სახეობაში ჯერ კიდევ არ დაუკომპლექტებიათ გუნდები.

ქუთაისელ ფიზკულტურელთა საქმიანობაში არსებულ ხარვეზებზე ილაპარაკა ფიზკულტურის ქალაქკომის თავმჯდომარემ ა. ჩოგოვაძემ, რომელიც განსაკუთრებით შეჩერდა ნიჩბოსნობის, სასტენდო სროლის, ცხენოსნობისა და მძლეოსნობის ჩამორჩენის მიზეზებზე.

სამხრეთ ოსეთის ფიზკულტურელთა მზადებაზე თათბირს მოუთხრო საოლქო კომიტეტის თავმჯდომარემ ა. არბოლიშვილმა, ხოლო თბილისელ ფიზკულტურელთა საქმიანობაზე ილაპარაკა ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მ. ბერიევმა. მან გააკრიტიკა „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭო, რომელიც არასათანადოდ ზრუნავს „ლოკომოტივის“ თბილისის რაიონსაბჭოებს შორის უძლიერესის გამოსავლინებლად. თბილისის ფიზკულტურის კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს თავის ნაკრებში არ შეიყვანოს არც ერთი ის უძლიერესი სპორტსმენი, რომლებიც თავს აარიდებენ საქალაქო სპარტაკიადაზე მონაწილეობას.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გიორგობიანი, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. კინწურაშვილი და სხვანი.

„ᲕᲘᲜ ᲒᲝᲮᲝᲕᲐᲗ, ᲕᲘᲜ ᲓᲐᲒᲐᲕᲐᲚᲐᲗ?“

სამი სპორტული და ერთი სარბოლი მანქანა მზად იყო შეჯიბრებისათვის. თბილისის ატკ-ს ავტომობილისტთა შრომამ უქმად როდი ჩაიარა. გარაჟის პარკში მზის სინათლეზე კიაფობდნენ სპორტის ენთუზიასტთა ხელით შექმნილი მანქანები. ბ. შულცის, შ. ზარდიაშვილის, ლ. ვართპატრიკოვის, ა. ოგანეზოვის, ო. გარსევანიშვილის, შ. მამრიკაშვილის, ე. საკიანის, ე. ჩერნიკოვისა და სხვათა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ეს გასაგებიც იყო. მათ შესაძლებლობა ეძლეოდათ გამოსულიყვნენ დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში, სპორტულ ბრძოლაში გამოეცადათ საკუთარი ხელით გაკეთებული მანქანები, რომელთა შექმნაზე რამდენიმე თვის განმავლობაში დილიდან გვიან ღამემდე დაუღალავად შრომობდნენ, ოფლს ღვრიდნენ. ენერგიას არ იშურებდნენ. მალე ნაყოფიერმა შრომამ შედეგიც გამოიღო. ჩამოწერილი დეტალებიდან მწყობრში ჩადგა სარბოლი მანქანები.

აქაურ ახალგაზრდებს წინათაც ჰქონდათ სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის გამოცდილება. ისინი მსუბუქი სამგზავრო მანქანებით გამოდიოდნენ და საკმაოდ მაღალ შედეგებსაც აღწევდნენ — საკავშირო პირველობაში პარკის ხუთმა მძღოლმა სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა. განა ეს სერიოზული წარმატება არაა?

ამჟამად აქაურ სპორტსმენთა განკარგულებაში 4 ახალი მანქანა იყო და დიდი სიხარული გამოიწვია ცნობამ, რომ პარკის უძლიერესი სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებდნენ საკავშირო შეჯიბრებაში მინსკში.

ამ დიდ შეჯიბრებაში თბილისელთაგან ყველაზე მაღალი შედეგი აჩვენა შ. ზარდიაშვილმა. იგი მეოთხე ადგილზე გამოვიდა.

დამთავრდა სპორტული სეზონი. საავტომობილო სპორტის ენთუზიასტები თავიანთ სამუშაოს დაუბრუნდნენ და თვითნაკეთი მანქანები პარკის ეზოში დააყენეს. მაგრამ...

... ატკ-ს დირექტორის ოთახის კარები სპორტის ოსტატმა ა. ოგანეზოვმა შეაღო. იგი დაწესებულების დირექტორთან დახმარების მისაღებად მოვიდა. საქმე იმაშია, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში ა. ოგანეზოვი სხვა ამხანაგებთან ერთად დაკავებული იყო სპორტული მანქანების შექმნითა და შეჯიბრებაში მონაწილეობით, ამჟამად კი სურდა კვლავ გაეგრძელებინა მუშაობა. მას მსუბუქი მანქანის სხვადასხვა ნაწილი ჰირდებოდა, რომელთა გარეშე შეუძლებელი იყო რეისზე გასვლა.

— ვინ გთხოვათ და ვინ დაგავალათ მანქანების აგება და შეჯიბრებაში მონაწილეობა? ასეთი იყო ატკ-ს დირექტორის გ. ჩიტაიშვილის პასუხი.

წყალგადასხმულივით გამოვიდა სპორტის ოსტატი დირექტორის კაბინეტიდან. ასევე დაუფასეს თვეობით გაწეული შრომა პარკის საავტომობილო სპორტის სხვა მოყვარულებსაც.

სპორტულ მანქანებს პარკის ეზოში, ღია ცის ქვეშ მიუჩინეს „მყუდრო ბინა“, ქარსა და წვიმაში გარეთ ეყარა თვეობით გაწეული შრომის ნაყოფი.

ერთ დღეს ატკ-ს ხელმძღვანელობამ თბილისის საქალაქო აღმასკომის ტრანსპორტის განყოფილებიდან განკარგულება მიიღო ბალანსზე აეყვანა (?!) ჩამოწერილი დეტალებიდან სპორტის მოყვარულთა მიერ გაკეთებული მანქანები, ყოველ მათგანზე 2-2 კაცი გაეპაროვნებინათ, რომლებიც მათი მოვლა-პატრონობის მატერიალური პასუხისმგებლები იქნებოდნენ.





და ყველაფერმა ამან ის გამოიწვია, რომ სპორტულმა სექციამ შეწყვიტა მუშაობა, ხოლო ზემოაღნიშნული მანქანები გაპარტახებისაგან იხსნეს მათმა შემქმნელებმა. ერთ მათგანს 26 კომისრის სახ. რაიონში მიუჩინეს ბინა, დანარჩენები ქალაქის სხვადასხვა კუთხეში მიიკედლეს.

ჩვენს რესპუბლიკაში, სადაც სპორტის მრავალი სახეობაა კულტივირებული, საავტომობილო სპორტი ჯერ ახალია და მას, როგორც ჯერია, მხოლოდ მოსკოველი, ლენინგრადელი, ბელორუსი, ესტონელი სპორტსმენები მისდევენ. სპორტის ამ სახეობის დანერგვა თბილისელებმაც იკისრეს, მაგრამ რა გამოვიდა? დახმარების ნაცვლად ისინი წინააღმდეგობას წაწყდნენ და შეიძლება საქმე იქამდე მივიდეს, რომ მათ გული გაუტყდეთ, ჩამოშორდნენ მათთვის საყვარელი სპორტის სახეობას.

ზ. ჯანდიერი

* * *

სურათებზე თქვენ ხედავთ ქალაქის სხვადასხვა კუთხეში თავშეფარებულ სარბოლ ავტომანქანებს.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ...

მოსკოვში, ვრცელდება წყლებურთში საკავშირო პირველობის გათამაშების [illegible] რების მეორე დღეს გაიმართა 5 მატჩი და ხუთივე უაღრესად დაძაბულად მიმდინარეობდა. თბილისის „დინამომ“ შესანიშნავ წარმატებას მიაღწია. თბილისელებმა ლვოვის თანაკლუბელებთან თამაშის პირველი წუთებიდანვე მაღალი ტემპი შესთავაზეს მეტოქეს და გვახარიამ ზედიზედ ოთხჯერ შეარხია მოწინააღდეგის ბადე. შემდეგ ამ ანგარიშს კიდევ ერთი ბურთი დაუმატა ჩიქვანაიამ. შესვენებამდე თბილისელთა მეკარემ გოგოლაძემ ერთი ბურთი გაუშვა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მსაჯმა თამაშის ბოლომდე აუზიდან გააძევა ჩხიკვაძე. ამის მიუხედავად ლვოველებმა რიცხობრივი უპირატესობა მთლიანად ვერ გამოიყენეს. მათ მხოლოდ ორი ბურთის გატანა შეძლეს, ხოლო ერთი (ჩიქვანაია) საკუთარ კარშიც მიიღეს — 6:3. ასე დამთავრდა ეს მატჩი. მოსკოვის ლოხაჩოვის სახ. ავტოქარხნის გუნდმა (ზილ) დამარცხა თბილისის „ბურევესტნიკი“ — 6:3, ცსკ-მო-მ — „შრომითი რეზერვები“ — 5:2, კკფ-მ (ბაქო) — სკიფი (ლენინგრადი) — 2:1, „დინამომ“ (მოსკოვი) — სახ. უნივერსიტეტი (მოსკოვი) — 4:3, საზღვაოსნო სასწავლებელმა (ლენინგრადი) სკიფი (კიევი) — 2:1.

გათამაშების მესამე დღე არა ნაკლებ დაძაბული გამოდგა. ლენინგრადის სკიფს თბილისის დინამოელებმა ჩვეული ტემპერამენტით შეუტიეს და ჯერ ჩიქვანაიამ, შემდეგ გვახარიამ და კვლავ ჩიქვანაიამ ანგარიში სამამდე გაზარდეს. ლენინგრადელებმა ცადეს შეეტანათ თამაშში გარდატეხა. მათ ეს მოახერხეს კიდეც და ანგარიში გათანაბრდა. მაგრამ ჩხიკვაძის გადამწყვეტმა ტყორცნამ თბილისელებს მოუტანა გამარჯვება — 4:3.

თბილისის „ბურევესტნიკი“ ამ დღეს კვლავ დამარცხდა კკფ-სთან — 3:7. ლვოვის „დინამომ“ მოუგო ლენინგრადის საზღვაოსნო სასწავლებელს — 6:2, „შრომითი რეზერვებმა“ — ზილ-ს — 3:2, მოსკოვის „დინამომ“ — კიევის სკიფს — 4:0, მოსკოვის უნივერსიტეტმა — ცსკ მო-ს — 4:2.

* * *

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 16 დეკემბრისათვის

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	მ.	14	13	1	0	64:29	27
ცსკ მო		14	11	1	2	57:28	23
უნივერს.	მ.	14	11	0	3	46:27	22
„დინ.“	თბ.	14	11	0	3	50:33	22
კკფ	ბ.	14	7	2	5	52:36	16
სკიფი	ლ.	14	6	2	6	40:39	14
ზილ	მ.	14	4	3	7	44:35	11
საზღ. სასწ.	ლ.	14	4	2	8	31:32	10
სკიფი	კ.	14	4	1	9	34:42	9
„შრ. რეზ“.	მ.	14	3	0	11	40:54	6
„დინ.“	ლვ.	14	2	2	10	43:58	6
„ბურ“.	თბ.	14	0	0	14	21:109	0

ᲓᲘᲠᲔᲥᲪᲘᲐ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ

ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა ზუგდიდის რაიონში. აქაური ახალგაზრდები კარგად ახამებენ ერთმანეთს შრომასა და სპორტს. ფიზკულტურელთა მისწრაფებას სათანადოდ ეხმაურება მეურნეობის დირექცია, რომლის დახმარებით აქ მოეწყო ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნები. მეურნეობის კლუბის ძველი შენობა გადაკეთდა სპორტულ დარბაზად და შეიესო ინვენტარით.

ბ. ალშიბაია

14:2!

შესანიშნავი შედეგია

(დასასრული)

2 ფრე და 6 მოგება, რომელთა შორის ერთი ხუფთა იყო — აი სამატჩო შეხვედრის „მშრალი“ ტექნიკური ანგარიში. მან კი, ვინც ამ დღეს თბილისის სახელმწიფო ცირკში იყო, ნახა გაცილებით მეტი და, რაც მთავარია, დასამახსოვრებელი. შეხვედრა თითქოს ორი ნაწილისაგან შედგებოდა: პირველი ნაწილი ეს იყო ტემპერამენტის დაუსრულებელი კორიანტელი, შეტევა, დაცვა და კვლავ ახალი შეტევა, კრიტიკული მომენტების გაუწყვეტელი ცვლა. ასეთი იყო პირველი ექვსი წონითი კატეგორია ხალიჩაზე. მეორე ნაწილი — ქვემძიმე და მძიმე წონების ბრძოლა უფრო თავდაჭერილი, დინჯი და ტაქტიკური იყო. რა თქმა უნდა, აქ მეტოქეებიც უფრო თანაბარი ძალისა აღმოჩნდნენ და ბრძოლის პროფილიც ამან განსაზღვრა.

მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ქვემძიმე წონა. ერთ მხარეს იყო მსოფლიოს ჩემპიონი, ხოლო მეორე მხარეს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო პირველობის პრიზიორი. როსტომ აბაშიძე რუნე იანსონზე უფრო ახალგაზრდაა. ეს, რა თქმა უნდა, უპირატესობაა, მაგრამ შვედი უფრო გამოცდილია. უპირატესობა გაბათილდა. აბაშიძე ბრწყინვალე ტექნიკოსია (მან ამას წინათ საკავშირო ჩემპიონატში საუკეთესო ტექნიკისათვის სპეციალური ჯილდო მიიღო), შვედი კი დიდი ფიზიკური ძალის პატრონია, ე. ი. თანაფარდობა აქაც არ დარღვეულა. ამ შეხვედრაში გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო რომელიმე მხარის მიერ დაშვებული შეცდომა, მაგრამ ორივე მეტოქე ფრთხილობდა და არც ერთი არ აპირებდა შეცდომის დაშვებას. ფრე ასეთ შემთხვევაში გარდუვალია და ბრძოლაც ასევე დამთავრდა. აქტიურობა კი, რომელიც უდავოდ აბაშიძეს ეკუთვნოდა, გამარჯვებისათვის საკმარისი არ გამოდგა. ზუსტად ანალოგიური მდგომარეობა იყო ოთარ კანდელაკისა და რაგნარ სვენსონის შეხვედრაშიც, რომელიც აგრეთვე ფრედ აღინიშნა.

როცა სტრემბეკ პერ ტორსტენს ვკითხეთ, თუ რომელი მოჭიდავე მოეწონა მას ჩვენს გუნდში, შვედმა ლაპარაკი ავთანდილ ქორიძეზე დაიწყო. მან მეტად მაღალი შეფასება მისცა ქორიძის ოსტატობას, მაგრამ ისიც თქვა, რომ თუ ქორიძეს ხურს გახდეს მსოფლიო ჩემპიონი, მან ყველა 12 წუთი უნდა იბრძოლოს ისე, როგორც პირველ 6 წუთშიო. შვედის აზრი, რა თქმა უნდა, საინტერესოა, მაგრამ მას ზოგიერთ პუნქტში მაინც გამოვედავებით. პირველ რიგში ანგარიში უნდა გავუწიოთ თვით მოჭიდავის ფსიქიკას. ქორიძემ ჭიდაობის ბედი ისეთ გამოცდილ მეტოქესთან, როგორიცაა ოლიმპიური თამაშების და მსოფლიოს ექსჩემპიონი გუსტავ ფრეი, ფაქტიურად პირველ 6 წუთში გადაწყვიტა. ამის შემდეგ იგი უკვე გამარჯვებისათვის კი არ იბრძოდა (გამარჯვება ქულების დიდი რაოდენობით მას განაღდებული ჰქონდა), არამედ სუფთა მოგებისათვის. და თუ ქორიძეს ბოლო წუთებში დაღლა დაეტყო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ იქნა და ვერ დაწვინა მეტოქე ბეჭებზე (თუმცა ამის შესაძლებლობა მას რამდენიმეჯერ ჰქონდა). სატურნირო ბრძოლაში იგი იოლად დაჯერდებოდა პირველ 6 წუთში დაგროვილ ქულებს და შეხვედრას საკმაოდ „დასვენებული“ დაამთავრებდა. საერთო აღიარებით ქორიძემ ამ დღეს ფრიადზე იმუშავა, ხოლო ფრეიმ განიცადა პირველი დამარცხება საბჭოთა კავშირში.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა დავით გვანცელაძისა და სვენ ჰანსმარკის შეხვედრა. საქმე იმაშია, რომ შვედმა დასაწყისში ხიდზე შეაყენა გვანცელაძე და საკმაოდ კრიტიკულ მდგომარეობაშიც ჩააგდო. ამის შემდეგ ხალიჩაზე დაიწყო ის, რასაც ფეხბურთის ენაზე „ცალ კარში თამაში“ ჰქვია. ჰანსმარკი ხან პაერში იყო, ხან ხალიჩაზე, გაბრუებული და გაოგნებული იგი ხან ხიდით აღწევდა სუფთა წაგებას თავს, ხან ხალიჩის გარეთ გასვლით. ბოლოსდაბოლოს გვანცელაძემ დასცა კიდეც მეტოქე ბეჭებზე. მაგრამ გვერდითმა მსაჯმა (იგი შვედი იყო) ილეთის არასწორი ჩატარება აღნიშნა. გვანცელაძეს მიენიჭა ქულებით გამარჯვება.

ჩვენს გუნდში ძნელი გამოსაყოფია, თუ ვინ იყო უფრო ძლიერი და ვინ სუსტი. სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყველამ თანაბარი ძალით, მონდომებით და თავგანწირვით ჩაატარა ეს საპასუხისმგებლო შეხვედრა. მერაბ ღუდუშაური ისევე ძლიერი იყო თავის მეტოქეზე (კურტ იუჰანსენზე), როგორც გიორგი სინაურიძე ჰანს ანტონსონზე, ან ზაური შეურილაძე — კარლ ერიკ ანდერსონზე. ეს იგრძნობოდა პირველივე წუთზე, ეს იგრძნობოდა უკანასკნელ მე-12 წუთზეც. სამხრეთული ენინი, თვალშეუვლები სისწრაფე და გამარჯვების შეუპოვარი ლტოლვა იყო ყველა მათგანის წარმატების თავი და ბოლო. განსაკუთრებით გვინდა შევჩერდეთ ჩვენი გუნდის ვეტერანის გოდერძი ჩიტიაშვილის გამოსვლაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ იგი თვით ჩიტიაშვილის „წყალობით“. მან სათქმელი არ დაგვიტოვა არაფერი, ისევე, როგორც ხანახავი. მეორე წუთზე მისი მოწინააღმდეგე როლანდ ლინდსტრემი ბეჭებით იყო მიკრული ხალიჩაზე. ასეთ დროს მხოლოდ აღტაცებას გამოთქვამენ და მეტს არაფერს.

საქართველოს გუნდმა მოიპოვა ბრწყინვალე წარმატება და დაამარცხა მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივი ანგარიშით 14:2.

ნ. გუგუშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

• • •

სურათებზე: (ზემოთ მარცხნივ) ძველი მეტოქეები გ. კარტოზია და ჰ. ანტონსონი მეგობრულად საუბრობენ. (მარჯვნივ) ჩიტაშვილმა გაიმარჯვა! (ქვემოდ) შვედი მსაჯისა და არბიტრის დავა დ. გვანცელაძე-ს. ჰამსმარკის შეხვედრის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

დავიბრუნოთ ქართული ფეხბურთის დიდება

ყოველ ჩვენგანს, იქნება ეს მწვრთნელი, მსაჯი, ფეხბურთელი თუ ე. წ. გულშემატკივარი, რომლებიც ყველა ერთად „ფეხბურთის დიდ არმიას“ შეადგენენ, აინტერესებს განვლილი საფეხბურთო სეზონის შედეგები, აინტერესებს თუ რის გამოა, რომ ჩვენი საუკეთესო გუნდი — თბილისის „დინამო“ უკვე მეხუთე წელია ჩამორჩა საბჭოთა ფეხბურთის ლიდერებს და როგორც სსრ კავშირის ჩემპიონატის, ისე თასის გათამაშების ცხრილში იმყოფება ქვედა ნახევარში, აუტსაიდერებთან ახლოს.

რა არის ამისი მიზეზი? რატომაა, რომ ოდესღაც სახელგანთქმულმა დინამოელებმა დღეს ასე დათმეს პოზიციები და წლების მანძილზე ტაკანიან ერთიდაიგივე ადგილს (VII-IX). შეეცდებით შეძლებისდაგვარად განვიხილოთ გასული სეზონის შედეგები და განვმარტოთ ჩვენი ჩამორჩენის მიზეზები.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ რესპუბლიკის ნამდვილ სახეს საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე წარმოადგენს მისი საუკეთესო კოლექტივი და მსჯელობაც ამ უძლიერესის შედეგების მიხედვით წარმოებს. იგი ერთგვარი საზრმია. მაგრამ, ჩვენის აზრით, ლაპარაკი თბილისის „დინამოს“ დღევანდელ მდგომარეობაზე ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იქნება, თუ ერთ მთლიან ასპექტში არ განვიხილეთ ფეხბურთის განვითარების საკითხი ჩვენს რესპუბლიკაში, თუ ანალიზი არ გავუკეთეთ სასწავლო-სწვრთნელი და მასობრივი მუშაობის მდგომარეობას ძირეულ კოლექტივებში, ადგილებზე. ცხადზე უცხადესია — რაც უფრო მეტი ბავშვი და ახალგაზრდა ითამაშებს ფეხბურთს. რაც უფრო ფართოდ მოიკიდებს ფეხს ეს თამაში ხალხში, მით უკეთესი და მდიდარი არჩევანი გვექნება „დიდი ფეხბურთისათვის“.

პირდაპირ უნდა ითქვას, — ასეთი არჩევანი დღეისათვის ჩვენ არა გვაქვს.

ნათქვამია, ზოგიერთს დღევანდელი კვერცხი ურჩევნია ხვალინდელ ქათამსო. ჩვენც ასე ვართ. წლების მანძილზე დღევანდელი კვერცხის იმედითა ვართ, არ ვფიქრობთ ხვალინდელ დღეზე და შედეგიც თვალწინა გვაქვს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შევადაროთ გასული წლისა და წლევანდელი მაჩვენებლები საკავშირო ფეხბურთის ფართო პროგრამის მიხედვით.

შარშან თბილისის „დინამომ“ დაიკავა მე-7 ადგილი. წელს — მე-9. შარშან თბილისის არმიელებმა „ბ“ კლასის ზონაში დაიკავეს პირველი ადგილი. წელს კი ჩვენი რესპუბლიკიდან საუკეთესო იყო ქუთაისის „ლოკომოტივი“, რომელიც მხოლოდ მე-4 ადგილზეა. შარშან „ა“ კლასის კოლექტივებთან არსებულ ჭაბუკთა გუნდებს შორის თბილისის ნორჩმა დინამოელებმა მოიპოვეს მეტად საპატიო გამარჯვება, წელს კი ჩვენი გუნდი ამავე გათამაშებაში ერთობ წარუმატებლად გამოვიდა. თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდმა შარშან მოიგო სსრ კავშირის თასი ძირეულ კოლექტივებს შორის, წელს დავკარგეთ ეს თასი.

ერთადერთი ნამდვილი წარმატება, ეს იყო ჩვენი ჭაბუკების გამარჯვება მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვებაა, მაგრამ ნუ გადავუხვევთ გულახდილობას და სამართლეს: გუნდმა მხოლოდ ბოლო ორი თამაში ჩაატარა სრული სიძლიერით, ხოლო დანარჩენ შეხვედრებში ვერ დატოვა სახარბიელო შთაბეჭდილება.

როგორც ვხედავთ, საქმე ვერ არის კარგად.

მაგრამ ეს არაა მთავარი. ყველაზე შემაშფოთებელია ის, რომ ჩვენი საუკეთესო გუნდი, თბილისის „დინამო“ კარგავს თავის სპეციფიკას, კარგავს იმ მდიდარ თავისებურებას, ტემპერამენტიან, სწრაფ, ლამაზ და ცეცხლიან თამაშს, რომელიც ასე შესანიშნავად ახასიათებდა უწინ ქართულ ფეხბურთს და მკვეთრად განასხვავებდა სხვა დანარჩენთაგან. და მით უფრო დასანანია, რომ ეს ჩვენზე ადრე სხვებმა დაინახეს, სხვებმა ატეხეს განგაში. ჩვენ კი „დინამოს“ წარუმატებლობას ხშირად შემთხვევითობას ვაბრალებდით, თვალს ეხუჭავდით სინამდვილის წინაშე და ციდან ველოდით მეორე პაიჭაძეს.

ფაქტია: დადგა დრო, როცა უნდა ვილაპარაკოთ დაუფარავად, სრული პირდაპირობით, საქმიანად. დადგა დრო, როცა უნდა მივმართოთ ვადამჭრელ ზომებს, რათა თავი დავაღწიოთ ამ „მარათონულ“ ჩამორჩენილობას და დავიბრუნოთ დაკარგული დიდება.

მთავარი, რასაც უნდა მიექცეს პირველხარისხოვანი ყურადღება, ესაა მასობრივი ფეხბურთი. ჩვენ ლაპარაკი გვაქვს არა ოფიციალურ გუნდებზე, არამედ ბავშვთა და ახალგაზრდათა იმ უდიდეს მასაზე, რომელსაც არა აქვს სათამაშო ადგილი. რესპუბლიკაში თითქოს ბევრი რამ კეთდება იმ მიმართებით, რომ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღოს გუნდების მაქსიმალურმა რაოდენობამ, მაგრამ ფორმალურ ციფრებს მიღმა იმალება მეტად სავალალო ჭეშმარიტება — ბავშვებს აღარა აქვთ ეზოებში და დაუსახლებელ მინდვრებზე თამაშის საშუალება, მათ არავინ უშვებს სათამაშოდ სტადიონზეც. თუ ეს არაა ოფიციალური გუნდის კალენდარული მატჩი.

ასე ნამდვილი ფეხბურთელი არ გაიზრდება. ბავშვს უნდა ჰქონდეს საშუალება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე ითამაშოს, სდიოს ბურთს, შეეჩვიოს მას.

განა დასამალია, რომ ჩვენს წამყვან და დანარჩენ გუნდებს შორის დიდი განსხვავებაა? ეს განსაკუთრებით ნათელი შეიქნა სამამულო ფეხბურთის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ ტურნირში, სადაც აშკარად გამოჩნდა, რომ აფხაზეთისა და აჭარის ნაკრებ გუნდებს, აგრეთვე რესპუბლიკის ჩემპიონს — თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდს დღეს არაფერი შეუძლიათ მოგვცენ „ა“ და „ბ“ კლასების გუნდებისათვის.

ამას წინათ ჩვენ დავესწარით ფინალურ მატჩს თბილისის პირველობაზე კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნისა და ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდებს შორის. ასეთი გუნდები რამდენიმე წლის წინათ ვერ გავიდოდნენ ფინალში.

ეს მდგომარეობა სულაც არაა გასაკვირი. თბილისის პირველობაზე არ თამაშობენ ტრამვაელები, 26 კომ. სახელობის გუნდი, უმაღლესი სასწავლებლების ფეხბურთელები. თბილისი ისეთ კატასტროფულ კრიზისს განიცდის საფეხბურთო მინდვრების მხრივ, რომ არა თუ წვრთნა, კალენდარული შეხვედრების ჩატარებაც თავსატეხ პრობლემას წარმოადგენს.

ნ. ჩხატარაშვილი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.
გ. ქორქია.

(გაგრძელება იქნება).

თბილისის პირველობაზე

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს დედაქალაქის 1959 წლის საჭადრაკო პირველობის სამი ნახევარფინალური ტურნირი, რომლებშიც მონაწილეობს 41 პირველთანრიგოსანი და ოსტატობის კანდიდატი.

პირველ ტურნირში თავიდანვე დაწინაურდა მ. თხელიძე, რომელმაც მოიპოვა 9 გამარჯვება და 1 პარტია (ა. იზვოზჩიკოვთან) ყაიმით დაამთავრა. მას 2,5 ქულით ჩამორჩება ა. იზვოზჩიკოვი. 6-6 ქულით ლიდერთა ჯგუფში იმყოფებიან აგრეთვე გ. გამრეკელი და ი. ვეტოხინი.

მეორე ტურნირში წინაა ოსტატობის კანდიდატი ა. ბლაგიძე. მას 8 ქულა აქვს 9 შესაძლებლიდან. ლიდერს კვალდაკვალ მიჰყვება გ. ბუცხრიკიძე (7,5 ქულა). ნიჭიერმა ახალგაზრდამ მხოლოდ ერთ პარტიაში (ბლაგიძესთან) განიცადა დამარცხება. მტკიცედ მიიწევს წინ აგრეთვე ო. ელიოზოშვილი (6,5 ქულა).

მესამე ტურნირში ენერგიულად იბრძვის ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი დ. ჯანოევი, რომელმაც 10 პარტიაში 9 მოიგო და 1 წააგო (ა. წერეთელთან). კარგად თამაშობს ჯ. ბერაძეც, რომელმაც 8,5 ქულა დააგროვა.

ფინალში დაიშვება 5-5 მოჭადრაკე.

სურათზე: ი. ბალაში ხტომის დროს.

სულ უფრო მაღლა, მაღლა...

შესანიშნავი რუმინელი მძლეოსანი ქალის იოლანდა ბალაშის სახელი დღეს ფართოდაა ცნობილი მთელს სპორტულ მსოფლიოში.

ძნელად რომ 1958 წელს ვინმეს ჰქონდეს ასეთი მაღალი კლასის მაჩვენებლები. ი. ბალაშმა 22-ჯერ მიიღო მონაწილეობა დიდი მასშტაბის შეჯიბრებებში და მსოფლიო რეკორდის ჭერი აიყვანა 1 მეტრსა და 83 სანტიმეტრამდე. ცნობილმა სპეციალისტმა მძლეოსნობაში რ. ვილარმა გამოთვალა, რომ მხოლოდ ამ ზაფხულს იოლანდა ბალაშმა საერთო ჯამში გადალახა 2 კილომეტრი სიმაღლე, ხოლო მისი 10 საუკეთესო ნახტომის საშუალო მაჩვენებელია 179,6 სმ.

სიმაღლე 170 სმ ბალაშმა სხვადასხვა შეჯიბრებებში წელს აიღო თექვსმეტჯერ. 175-სმ — ხუთჯერ, 177 სმ — ოთხჯერ, 178 სმ—ორჯერ და 180 სმ და მეტი — ექვსჯერ.

ი. ბალაშის მიღწევათა ნათელსაყოფად შეიძლება ასეთი ციფრების მოყვანაც: ბოლივიის რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში ვაჟთა შორის უდრის 178 სანტიმეტრს, ლიუქსემბურგისა — 180 სანტიმეტრს, ხოლო ბორნეოს კუნძულისა — 181 სანტიმეტრს.

მოგვყავს ქალთა შორის მსოფლიო რეკორდის განვითარება მისი არსებობის მანძილზე.

1.55	გრინი (ინგ.)	1926 წ.
1.58	კეტერვუდი (კან.)	1926 წ.
1.59	კეტერვუდი	1928 წ.
1.60	გოზოლფი (ჰოლ.)	1929 წ.
1.62	გოზოლფი	1932 წ.
1.65	შილეი (აშშ)	1932 წ.
1.66	ტეილორი (ინგლ.)	1939 წ.
1.71	ბლანკერს-კოენი (ჰოლ.)	1943 წ.
1.72	ლერვილი (ინგლ).	1951 წ.
1.73	ჩუდინა (სსრკ)	1954 წ.
1.74	ჰოპკინსი (ინგლ).	1956 წ.
1.75	ბალაში (რუმ.)	1956 წ.
1.76	მაკდანიელი (აშშ)	1956 წ.
1.77	ჩუენ ფენუენი (ჩინ.)	1957 წ.
1.80	ბალაში (რუმ.)	1958 წ.
1.81	ბალაში (რუმ).	1958 წ.
1.82	ბალაში (რუმ.)	1958 წ.
1.83	ბალაში (რუმ.)	1958 წ.

ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა ფარიკაობაში ი. ესაიაშვილს, შ. დარასელიას, ტ. მესხს და გ. ცაგარელს (ყველა თბილისიდან, „ბურევესტნიკი"). ველოსპორტში ა. კიკნაძეს (თბილისი, „ლოკომოტივი"). კრივში: ზ. კოზაევს (თბილისი, „სპარტაკი") და ლ. მნაცაკანოვს (თბილისი, საბჭოთა არმია). თავისუფალ ჭიდაობაში: შ. მახარობლიშვილს (თბილისი, „ლოკომოტივი"), რ. ჯანაშიას (გალი, „კოლმეურნე"), ვ. შახბაზოვს (თბილისი, „შრომითი რეზერვები"), კლასიკურ ჭიდაობაში ტ. ანკვაბს (გუდაუთა, „კოლმეურნე").

* * *

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა ფრენბურთში: ი. ფეიქრიშვილს (თელავი, „განთიადი"). თხილამურებში ა. ადამიანცს (ახალქალაქი, „კოლმეურნე"). საპარაშუტო სპორტში ი. პაშკოვს (საბჭოთა არმია).

რედაქტორი ი. უგულავა.

არსებობთ თუ არა თქვენ, მისტერ ჯონს?



ს. ლემი

სტანისლავ ლემი (დაბ. 1921 წ.) თანამედროვე პოლონელი მწერალია. მან თავის ქვეყანაში სახელი გაითქვა უმთავრესად როგორც მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანების ავტორმა.

ამ მოთხრობაში, რომელსაც დღეს გაზეთში მცირე შემოკლებით ვბეჭდავთ, ს. ლემი თავისებურ სატირულ-ფანტასტიკურ ფორმებში გვისახავს სპორტსმენთა ბედს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მოთხრობის თარგმანი შესრულებულია გ. გომართელის მიერ.

მოსამართლე — სასამართლო იწყებს ფირმა „სეიბერნეტიკს კომპანიის" საქმის განხილვას, რომელიც ჰარი ჯონსის წინააღმდეგ არის მიმართული. ესწრება თუ არა ორივე მხარე?

დამცველი — დიახ, ბატონო მოსამართლე.

მოსამართლე — თქვენ ვისი სახელით გამოდიხართ?

დამცველი — მე ვარ „სეიბერნეტიკს კომპანიის" იურისკონსული.

მოსამართლე — სადღა არის მოპასუხე!

ჯონსი — აქ ვარ, ბატონო მოსამართლე.

მოსამართლე — თქვენი გვარი და სახელი?

ჯონსი — ჰარი ჯონსი — დავიბადე 1917 წლის 6 აპრილს, ნიუ-იორკში.

დამცველი — ნება მომეცით ბატონო მოსამართლე, საკითხის გასარკვევად მოგახსენოთ: მოპასუხე მართალს არ ლაპარაკობს. იგი საერთოდ არ დაბადებულა.

ჯონსი — ინებეთ, აი ჩემი დაბადების მოწმობა. დარბაზში კი იმყოფება ჩემი ძმა, რომელიც...

დამცველი — ეგ თქვენი მეტრიკა არ არის, დასახელებული პიროვნება კი თქვენს ძმას არ წარმოადგენს.

ჯონსი — მაშ ვისი ძმაა, იქნებ თქვენი?!

მოსამართლე—დაწყნარდით! ერთი წუთით, ბატონო იურისკონსულო. განაგრძეთ მისტერ ჯონს!

ჯონსი — განსვენებულ მამაჩემს, ლექსიტგინ ჯონსს, ჰქონდა საავტომობილო სახელოსნო და მან ჩამინერგა სიყვარული ამ პროფესიისადმი. 17 წლის ვიყავი, როდესაც პირველად მივიღე მონაწილეობა ავტორბოლაში. მას შემდეგ მე, როგორც პროფესიონალი, ოთხმოცდაშვიდჯერ გამოვედი ტრასაზე და თექვსმეტჯერ დავიკავე პირველი ადგილი, ოცდაერთხელ მეორე...

მოსამართლე — გმადლობთ, მაგრამ ეგ წვრილმანები საქმეს არ ეხება.

ჯონსი — სამი ოქროს თასი, სამი ოქროს თასი...

მოსამართლე — საკმარისია, გმადლობთ.

ჯონსი — და ვერცხლის გვირგვინი.

მოსამართლე — გყავთ თუ არა დამცველი?

ჯონსი — არა. თვითონ დავიცავ თავს. ჩემი საქმე დღესავით ნათელია.

მოსამართლე — იცით თუ არა, ბატონო ჯონს, რა ბრალდებას გიყენებთ თქვენ „სეიბერნეტიკს კომპანია"?

ჯონსი — ვიცი. მე გავხდი მათი უსინდისო მოქმედების მსხვერპლი...

მოსამართლე — საკმარისია. ბატონო იურისკონსულო, შეგიძლიათ თუ არა მოახსენოთ სასამართლოს საქმის შინაარსი?

დამცველი — რა თქმა უნდა! ორი წლის წინათ მოპასუხეს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ავტოშეჯიბრებაში ჩიკაგოს მახლობლად, შეემთხვა უბედურება. მან დაჰკარგა ფეხი. მაშინ ჯონსმა მიმართა ჩვენს ფირმას. როგორც ცნობილია, ჩვენი ფირმა ამზადებს ხელების, გულის, ფეხებისა და სხვა ორგანოების ხელოვნურ პროტეზებს. მოპასუხემ განსაზღვრული ვადით იყიდა მარცხენა ფეხის პროტეზი და ფულის ერთი ნაწილი გადაიხადა. ოთხი თვის შემდეგ მან კვლავ მოგვმართა. ამჯერად მან ორივე ხელის, გულის ფილტვის და კისრის პროტეზების დაკვეთა მოგვცა.

ჯონსი — სიცრუეა! კისერი მე გაზაფხულზე შეგიკვეთეთ, მთიან ადგილებში გადარბენის შემდეგ.

მოსამართლე — გთხოვთ ნუ აწყვეტინებთ!

დამცველი — ამის შემდეგ მოპასუხეს ფირმისა ემართა 2967 დოლარი. ხუთი თვის შემდეგ მოპასუხეს სახელით ჩვენთან გამოცხადდა მისი ძმა. თვითონ იგი იმყოფებოდა ნიუ-იორკის მახლობლად, მონტე-როზას საავადმყოფოში. ფირმამ ახალი შეკვეთით გაუგზავნა მთელი რიგი პროტეზებისა. მათ შორის იყო ტვინის ნახევარსფეროს შემცვლელი „გენიაკის" ფირმის ელექტროტვინი, რომლის ღირებულება 26500 დოლარს შეადგენს. მოპასუხემ შეგვიკვეთა ყველაზე საუკეთესო, ერთ-ერთი უმაღლესი ხარისხის მოდელი, ფოლადის ლამპებით, დარდის ჩამხშობი და ფერადი სიზმრის აპარატურით.

ამას გარდა, ჩვენ მას დავუმზადეთ ხელების სპეციალური პროტეზი, მასში ჩახრახნილი თვრამეტქვიანი შვეიცარული საათით. როდესაც ვალმა 29.863 დოლარს მიაღწია, ჯონსს მოვთხოვეთ დაებრუნებინა ფირმისათვის ყველა ადრე შეძენილი პროტეზი.

მაგრამ, შტატის სასამართლომ ჩვენი საჩივარი უარყო იმ საბაბით, რომ თუ მოპასუხეს პროტეზებს ჩამოვართმევდით, ამით ვუსპობდით მას არსებობის საშუალებას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყოფილ მისტერ ჯონსისაგან დარჩენილი იყო მხოლოდ საკუთარი თავის ტვინის ნახევარსფერო.

ჯონსი — რას ნიშნავს „ყოფილ ჯონსისაგან"?! შეურაცხყოფისათვის პრემიებს ხომ არ გირიგებთ ფირმა?

მოსამართლე—ხელს ნუ შეუშლით მისტერ ჯონსს, პიროვნების შეურაცხყოფისათვის დაგაჯარიმებთ.

ჯონსი — კი მაგრამ, ის ხომ მე მაყენებს შეურაცხყოფას?!

დამცველი — მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე თავიდან ფეხებამდე ჩვენი ფირმის მიერ იყო პროტეზირებული, რომელიც მას ასე სიამოვნებით უსრულებდა ყოველგვარ თხოვნას, იგი სახალხოდ ლაპარაკობდა ჩვენი ნაწარმის უხარისხობაზე, მაგრამ სამი თვის შემდეგ მან კვლავ მოგვაკითხა.

ხელმძღვანელობდა რა ჰუმანიზმის იდეებით, ფირმამ ამჯერადაც დააკმაყოფილა მისი თხოვნა და დათანხმდა შეეცვალათ მისი საკუთარი ნაწილი ტვინისა „გენიაკის" მარკის აპარატით. სამაგიეროდ, მოპასუხემ მოგვცა ვექსილი 26.950 დოლარზე, რომლიდანაც გადაგვიხადა სულ რაღაც 232 დოლარი და 18 ცენტი. ასეთ შემთხვევაში... პატივცემულო სასამართლო, მოპასუხე მე განზრახ მიშლის ხელს. ჩემს სიტყვას ახშობს რაღაც უცნაური ჭრიჭინით, სისინითა და რახუნით. გთხოვთ დააწყნაროთ იგი!

(დასასრული იქნება)

ლონდონში ამას წინათ შედგა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში იტალიის ჩემპიონ „იუვენტუსსა" და ინგლისის ჩემპიონატის ლიდერს „არსენალს" შორის. „იუვენტუსმა" მასპინძლებს დაუპირისპირა თავისი „ინტერნაციონალური" თავდასხმა, რომელსაც ლიდერობდა შესანიშნავი ინგლისელი ფეხბურთელი ჯონ ჩარლზი (კონტრაქტის ძალით იგი კიდევ სამ წელს დარჩება იტალიაში).

ჰონ ჩარლზი ინგლისელთა წინააღმდეგ

მიუხედავად იმისა, რომ „იუვენტუსში" თამაშობენ ისეთი შესანიშნავი თავდამსხმელები, როგორიც არიან ბონიპერტი, ნიკოლე, სივორი (არგენტინა), მათ ვერ შეძლეს „არსენალის" ძლიერი დაცვის გარღვევა. მატჩი მოიგეს ინგლისელებმა ანგარიშით 3:1. ერთადერთი ბურთი მასპინძელთა კარში გაიტანა სწორედ ჩარლზმა.

საკავშირო შეჯიბრება კალათბურთში

19 დეკემბერი

ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბი (კიევი)—„დინამო" (თბილისი)

დასაწყისი 20 ს.

21 დეკემბერი

ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტული კლუბი (კიევი) — ს. მ. კიროვის სახელობის საქ. პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი)

დასაწყისი 19 ს.

თამაშები შედგება ვ. ი. ლენინის სახ. დარბაზში.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო",
ტელეფონები: რედაქტორის—3 89 62. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 08203